

გილითის ფასი 10 ლარი 25.03.14 6 / 20.00 სთ
 ღონისძიების ბანერალური მხარდაჭერა ქ. თბილისის შირია
 გილითის შპს-ის მხარდაჭერით სპორტის სასახლის საღაჯოთაში
პაპატიუხაბათ საქველმოქმედო მართონე სპორტის სასახლეში
საქველმოქმედო ზარი: 0901 700 515 ზარის ღირებულება 1 ლარი

საზომადოება ☰ მთავარი თემა

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს

გიორგი გირკვლიძე 18 მარტი 2014 12:44:10

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართავენ. მიმართვის ტექსტს, "გურია ნიუსი" უცვლელად გთავაზობთ.



"როგორც ცნობილია მიმდინარე წლის 14 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სამინისტრომ შპს "RMG Gold"-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არ გაუსაჯაროებია მიღებული გადაწყვეტილება და მხოლოდ სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებული მცირე განცხადებით შემოიფარგლა. ამასთან, განცხადებაში აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობის შესახებ.

შესაბამისად, განცხადების ხელმოწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომ უაღრესად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს "RMG Gold"-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა. ასევე, გამოაქვეყნოს ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სამინისტროს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების საფუძველად იქნა გამოყენებული", _ ნათქვამი მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერს : საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; მწვანე ალტერნატივა; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

Tweet 1 | +1 0
 Like Share 11

არქივი

საშვებულაბო ხელფასს ვერ მიღებენ? 2011-07-15 11:59:00 "აუსიღებელია ქარსაფარი გოღების აღდგენა და მოვლა-პაღრონობა" 2013-12-25 18:33:02



პროგრამის "საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბიღების..."



"დევენართ პატიმრებს, ნუ მიგატოვებთ გასაქირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჭონდათ და ივანიშვილი

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო 2013-06-27 11:01:43 შინაგან საქმეთა სამინისტროს განხსადება 2014-01-06 20:37:28



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგვეღაშვილი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე...



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ხვალ, საშობაო აღღლოს მსვლეღობასთან...



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფოტო _ ზურჯანაღის ოფისი ჩოხატაურში

ღინღსაღი



წყლის სისტემის რეაღიღტაცია და რეაღიღტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიღნი?